20/04/2023

,,სააღდგომო გამოფენა“ თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტისა და მასთან არსებული შემოქმედებითი.
სახელოსნოების ინიციატივით, ქსოვილების მხატვრული დამუშავების სახელოსნოში ტრადიციული ,,სააღდგომო გამოფენა“ მოეწყო.
გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ხელოვნების სხვადასხვა დარგის – ხატწერის, ოქრომკერდითა და ჯვრული (ხევსურული) ქარგვის, თექის, ფარდაგისა და ბატიკის – ნიმუშები. გამოფენაში მონაწილეობდნენ თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. წარმოდგენილი იყო თემატური და შინაარსობრივი თვალსაზრისით მრავალფეროვანი ნამუშევრები, როგორც საეკლესიო, ისე საერო ხასიათისა.
გამოფენა ერთი დღე გაგრძელდა, თუმცა დამთვალიერებელი მრავლად ჰყავდა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

tsas.ge